

**Nugesha Gagnidze**  
*Georgia, Kutaisi*  
*Akaki Tsereteli State University*

## **The Recent History of Georgia in Nino Haratishvili's Novel „My Gentle Twin“**

Nino Haratishvili's family saga "My Gentle Twin" tells us about two couples' romantic and tragic love stories. Simultaneously, the author depicts the social, political and cultural life of the 90-s of the XX century Georgia.

Nino Haratishvili as an eyewitness of the wars and revolutions in Georgia, the collapse of the Soviet system and the transition period of an independent country. She uses archive materials in order to describe what she saw and felt with maximum accuracy. She became the best presenter of her country in German speaking world.

**Key Words:** romantic and tragic love; war in Abkhazia.

### **ნუგეშა გაგნიძე**

*საქართველო, ქუთაისი*

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## **საქართველოს უახლესი ისტორია ნინო ხარატიშვილის რომანში „ჩემი საყვარელი ორეული“**

21-ე საუკუნის დასაწყისიდან ბევრს წერს დასავლეთევროპული პრესა საქართველოში დაბადებული გერმანულენოვანი ავტორის ნინო ხარატიშვილის შესახებ. ლიტერატურის სცენაზე ახალგაზრდა მწერალი თავდაპირველად შთამბეჭდავი პიესებით გამოჩნდა. 1998 წლიდან დღემდე მისი დრამები იდგმება გერმანიის სხვადასხვა ქალაქში და აღაფრთოვანებს მაყურებელს.

ნინო ხარატიშვილის პირველი დიდი წარმატება უკავშირდება ჰამბურგში, თეატრ თალიაში დადგმულ პიესას „Z“ (2006). აქტიური ლიტერატურული და დრამატული საქმიანობისთვის 2008 წლიდან მან მრავალი ჯილდო და პრემია მიიღო. მათ შორის აღსანიშნავია:

ჰაიდელბერგის თეატრალური ფესტივალის ავტორთა პრიზი ფილიპ ლიოჰლესთან ერთად, როლფ მარეს პრიზი „აგონის“ დადგმისათვის ჰამბურგის ლიხტჰოფის თეატრში, ჰაიდელბერგის თეატრალური ფესტივალის მთავარი პრიზი „ლივ შტაინისათვის“, ბერტოლტ ბრეხტისა და შილერის ჯილდოები და სხვ.

როგორც მრავალგვერდიანი რომანების ავტორი ნინო ხარატიშვილი მკითხველმა გაიცნო 2010 წელს, როცა ფერბრეხერ ფერლაგმა (Verbrecher Verlag) გამოსცა მისი პირველი ნაწარმოები „ჟუჯა“ („Juja“). ამ რომანისათვის მას ბუდენბროკების სახლის სადებიუტო პრიზი (Debütpreis des Buddenbrookhauses für ihren Roman „Juja“) გადაეცა. სწორედ ამავე წელს გახდა იგი ადლბერტ ფონ შამისოს პრემიის მფლობელი გერმანული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის. განსაკუთრებული აღიარება მოუტანა ახალგაზრდა მწერალს რომანმა „ჩემი საყვარელი ორეული“ („Mein Sanfter Zwilling“, 2011), რომლისთვისაც მან 2011 წელს გერმანიის დამოუკიდებელ გამომცემლობათა პრემია მოიპოვა.

რობერტ ბოშის სტიპენდიამ (Das Grenzgaänger-Stipendium der Robert-Bosch-Stiftung) ნინო ხარატიშვილს შესაძლებლობა მისცა ემოგზაურა რუსეთში, გასცნობოდა არქივებსა და ბიბლიოთეკებში დაცულ ცნობებს, ფაქტებსა და ინტერვიუებს საბჭოთა პერიოდის შესახებ, შეეგროვებინა მასალა 1280-გვერდიანი რომანისთვის „მერვე სიცოცხლე (ბრილკასათვის)“ („Das achte Leben (Für Brilka)“, რომლის გამოქვეყნებიდან (2014) მალე მან მიიღო გერმანული ბიზნესის კულტურის კომიტეტისა და ანა ზეგერსის პრემიები.

2018 წელს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობზე, სადაც მასპინძელი ქვეყნის სტატუსით საქართველო წარსდგა, დისკუსიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თემა იყო ნინო ხარატიშვილის ახალი ფსიქოლოგიური რომანი „კატა და გენერალი“ („Die Katze und der General“), რომელიც გამოქვეყნებისთანავე (2018) მოხვდა 2018 წლის გერმანული ლიტერატურული პრემიის (Deutscher Buch Preis 2018) მოკლე სიაში.

ნინო ხარატიშვილის ოთხივე სქელტანიანი რომანი დასავლეთევროპელი, განსაკუთრებით კი, გერმანელი, მკითხველის საყვარელი ნაწარმოებებია იმიტომ, რომ მათში იგი წერს ტაბუ-დადებულ თემებზე: საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიის შესახებ, ტოტალიტარულ რეჟიმებსა და მის შედეგებზე.

ავტორი მოგვითხრობს ინდივიდუალური და კოლექტიური დანაშაულის, კონკრეტულ ქვეყნებსა და ადამიანების გონებაში მიმდინარე ბრძოლებისა და სულიერი სიმშვიდის ძიების შესახებ. ამავდროულად იგი, ერთი მხრივ, დასავლეთევროპული, კერძოდ კი, გერმანული ლიტერატურული ტრადიციების გამგრძელებელია, მეორე მხრივ, ერთგულია ქართული ლიტერატურისა. მისი თხრობის სტილი სადაა, გასაგები, ნათელი. სწორედ, ესაა ავტორის განსაკუთრებული პოპულარობის მიზეზები. 2011 წლიდან სისტემატურად იბეჭდება ნინო ხარატიშვილისა და მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი რეცენზიები გერმანიის ყველაზე პოპულარულ გაზეთებში: „ზიუდდოიჩე ცაიტუნგ“ („Süddeutsche Zeitung“), „ფრანფურტერ ალგემაინე ცაიტუნგ“ („Frankfurter Allgemeine Zeitung“), „რაინ ნეკარ ცაიტუნგ“ („Rhein-Neckar-Zeitung“), „ფრანკფურტერ რუნდშაუ“ („Frankfurter Rundschau“), „დი ტაგესცაიტუნგ“ („Die Tageszeitung“) და სხვ. მათში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იგი, როგორც მწერალი, განსაკუთრებული მოვლენაა, „ახალი გმირია გერმანულ ლიტერატურაში“, რომ მისი რომანი, „ჩემი საყვარელი ორეული“ არის „ეპოსი კლასიკური სიმძლავრით“ (ბაზლერი 2011).

ქართულ ენაზე უკვე ითარგმნა ნინო ხარატიშვილის სამი რომანი: „ჟუჟა“, „ჩემი საყვარელი ორეული“ და „მერვე სიცოცხლე (ბრილკასათვის)“. გერმანელი და ქართველი მკვლევრები ბევრს და პატივისცემით ლაპარაკობენ ახალგაზრდა ავტორზე, მაგრამ სამეცნიერო ნაშრომები და პუბლიკაციები მცირე ოდენობით არსებობს მის ნაწარმოებებთან დაკავშირებით. ნინო ხარატიშვილის შემოქმედების სიღრმისეული კვლევა იწყება ახლა და, ვფიქრობთ, სასურველია გამოიკვეთოს ის უმთავრესი თემები და პრობლემები, რომელთაც განსაკუთრებული ღირებულება აქვს მის პროზაში. ამჯერად ყურადღებას ვამახვილებთ თუ როგორ აისახა საქართველოს უახლესი ისტორია რომანში „ჩემი საყვარელი ორეული“.

ნინო ხარატიშვილის განსაკუთრებულ დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ იგი მრავალმილიონიან ევროპელ მკითხველს თავისი სამშობლოს უახლეს ისტორიასა და ცხოვრებას დასავლეთ ევროპის პერსპექტივიდან აცნობს. სუბიექტივიზმის ხარისხი და მოჭარბებული მგრძნობელობა, მხურვალე ქართული პატრიოტიზ-

მი და იდეალებისა თუ კერპების ძიება ერის გადარჩენისათვის უცხოა ხარატიშვილის ნაწარმოებებისათვის, განსაკუთრებით კი რომანისათვის „ჩემი საყვარელი ორეული“. მის მიერ შტამბეჭდავად აღწერილი ეპიზოდები ქართული თუ გერმანული ყოფიდან, საყურადღებოდ დასმული აქცენტები, ინტერესს უღვივებს დასავლეთევროპელ მკითხველს, გაეცნოს კავკასიის უმშვენიერეს პატარა ქვეყანას, მის ისტორიას, ტრადიციებსა და ადათ-წესებს.

„ჩემი საყვარელი ორეული“ საოჯახო რომანია, რომელშიც წარმოდგენილია ორი წყვილის (სტელა და ივო, ლადო და სალომე) უცნაური სიყვარულის ამბავი, რომლის ფონსაც წარმოადგენს საქართველოს უახლესი ისტორიის უმძიმესი პერიოდი: 90-იანი წლები, სამოქალაქო ომი და აფხაზეთის ტრაგედია. პერსონაჟების ცხოვრებისა და ბედის განმსაზღვრელი სწორედ სოციალ-პოლიტიკური მოვლენებია.

ნინო ხარატიშვილი კარგად იცნობს როგორც გერმანულ, ასევე, ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს, რაც შესანიშნავად ჩანს მის რომანში „ჩემი საყვარელი ორეული“. ამავდროულად, მასში განსხეულებულია უახლესი ლიტერატურული ესთეტიკის ძირითადი პრინციპები. სტრუქტურული და მხატვრული თვალსაზრისით ნაწარმოები აბსოლუტურად შეესაბამება დასავლეთევროპელი მკითხველის გემოვნებას. მიუხედავად დიდი მოცულობისა, საუკუნის უმძიმესი პოლიტიკური ამბები იმდენად კარგადაა ჩართული ტრაგიკული სიყვარულის ისტორიაში, რომ მკითხველი ვერ გრძნობს დაღლას ნაწარმოების კითხვისას და სულმოუთქმელად ელოდება მოვლენების განვითარებას. რომანი არაა დამძიმებული შინაგანი მონოლოგებითა და ავტორის ვრცელი კომენტარებით რეალურ ფაქტებზე, რაც მკითხველს საკუთარი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას აძლევს. ხოლო ქართული ფენომენი და ტემპერამენტი განსაკუთრებულ ხიბლს სძენს ნაწარმოებს, რაც მოულოდნელ სიამოვნებას განაცდევინებს ევროპელ მკითხველს.

ნინო ხარატიშვილს არ უცხოვრია ტოტალიტარული რეჟიმების დროს და არ განუცდია მათი სისასტიკე. იგი გლობალიზაციის ეპოქის შვილია, რომელმაც ბავშვობა და მოსწავლეობის წლები საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმძიმეს პერიოდში, გასული საუკუნის 90-იან წლებში, გაატრა. მის შემოქმედება-

ში, კერძოდ კი, საოჯახო რომანში „ჩემი საყვარელი ორეული“ აისახა სწორედ ეს პერიოდი, როცა საქართველო პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ნაწარმოებში მოქმედება საქართველოსა და გერმანიაში ვითარდება. ერთმანეთს ეჯაჭვება ორი ოჯახის დრამის კონტურები. სტელასა და ივოს რომანტიკული და ტრაგიკული ისტორიის პარალელურად რომანში მოთხრობილია აფხაზეთის ომის შედეგად ტრავმირებული სალომესა და ლადოს სიყვარულის შესახებ. პარალელური სასიყვარულო ისტორიების მეშვეობით ავტორი გვიჩვენებს, რომ ადამიანებს მსგავსად უყვართ, მიუხედავად ეროვნებისა და სოციალური მდგომარეობისა. მაგრამ ომი, ნგრევა, ეკონომიკური სიდუხჭირე ართულებს ხშირად ურთიერთობებს, სულიერ სიმშვიდეს ურღვევს ადამიანებს.

ივოსა და სტელას უსაზღვრო სიყვარულს უცნაური წინაპირობები აქვს: სტელას მშობლები განქორწინებულნი არიან. დედა ამერიკაში ცხოვრობს და მუშაობს. სტელას მამისა და ივოს დედის სიყვარული ტრაგიკულად მთავრდება. ივოს მამა კლავს მეუღლეს და ციხეში გარდაიცვლება. სტელას მამა იშვილებს ობლად დარჩენილ ივოს. სტელა და ივო მშობლების სახიფათო სიყვარულის ისტორიის მონაწილენი და, შეიძლება ითქვას, მსხვერპლნიც არიან. ისინი ერთ ოჯახში იზრდებიან და-ძმის სტატუსით, მაგრამ გარდატეხის ასაკში აღმოაჩენენ, რომ ერთმანეთისადმი ფიზიკური ლტოლვა მათ ურთიერთობებს პრობლემებს უქმნის.

ბავშვობის პერიოდში მიღებული სულიერი ტრავმები სტელასა და ივოს დროთა განმავლობაში უღრმავდებათ. მოგვიანებით ისინი შეეცდებიან ოჯახის შექმნას, მაგრამ უშედეგოდ. შვიდი წლის განშორების შემდეგ სტელა და ივო კვლავ ხვდებიან ერთმანეთს. სტელას უკვე ჰყავს მზრუნველი მეუღლე და შვილი, ცხოვრობს მშვიდი ცხოვრებით. საბედისწერო შეხვედრამ შვიდი წლის შემდეგ ისინი თითქოს სიამის ტყუპებად აქცია. მათ აღარ შეუძლიათ დაშორება. სტელა მის სიყვარულს ივოსადმი ადარებს იშვიათ ღვინოს, რომლის გახსნა კი არ სურთ, არამედ ბოთლს უფრთხილდებიან, ინახავენ მას განსაკუთრებული შემთხვევისათვის (ხარატიშვილი 2011: 69).

რომანის კითხვისას, ცხადია, მკითხველი იხიბლება უჩვეულო სასიყვარულო ისტორიითა და ავტორის ნაზი, ქალური თხრობის

მანერით. მაგრამ მასზე, ამავედროულად, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს სოციალ-პოლიტიკური სიტუაციები, რომლებიც მთავარი მოქმედი პირების ბედიწერას განსაზღვრავენ. რომანის დასაწყისშივე აღნიშნავს სტელა, რომ მისი ცხოვრება დასასრულიდან დაიწყო, რომ ოჯახის წევრები არ იყვნენ მისი სისხლით ნათესავები და როცა მათ შესახებ ან მშობლების შესახებ საუბრობდა, ზუსტად უნდა განემარტა მსმენელისათვის, მხედველობაში ვინ ჰყავდა (ხარატიშვილი 2011: 17). მსგავსი ოჯახური კონსტელაცია მთელს მსოფლიოში არსებობს, მაგრამ ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით ნაცნობია იგი მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან. მძიმე სოციალ-პოლიტიკურის სიტუაციების გამო მრავალი ოჯახი დაინგრა საქართველოში. ბავშვები იზრდებიან ბებიასა და ბაბუასთან და ზოგჯერ ახლო ან შორეულ ნათესავებთანაც კი, რაც მათ სულიერ მდგომარეობაზე მეტ-ნაკლებად აისახება.

კავკასიის თემა რომანის პირველი ნაწილის ბოლოს შემოდის. ესაა ამავედროულად კულმინაციის წერტილი ნაწარმოებში: ერთ დღეს სტელამ ივოს ჩანაწერებით სავსე ჩანთა დაათვალიერა, რათა შეეტყო, თუ რა საქმიანობას ეწეოდა იგი კავკასიაში. მისი ყურადღება წვერიანმა მამაკაცმა მიიქცია. ეს არის 1963 წელს სოხუმში დაბადებული ლადო ყანჩელი, ქართველი მუსიკოსი და წინააღმდეგობის მოძრაობის წევრი, პოლიტიკური აქტივისტი, სწავლობდა კონსერვატორიაში თბილისსა და მოსკოვში, ორჯერ იყო დაპატიმრებული 1979 და 1984 წლებში საპროტესტო გამოსვლების გამო სოციალისტური რეჟიმის წინააღმდეგ, ნაციონალური პარტიის თანადამარსებელი და ზვიად გამსახურდიას თანამოაზრე. 1992 წელს პარტიიდან გამოვიდა და ამავე წელს, გალში, აფხაზეთში სათავეში ჩაუდგა ქართულ საბრძოლო ბატალიონს. ომში მას ოჯახის წევრები დაეღუპა. თავად გარკვეული დროით ცხოვრობდა, როგორც პოლიტიკური დევნილი, გერმანიაში, შემდგომში კი, ამერიკის შერთებულ შტატებში, 2001 წელს დაბრუნდა საქართველოში, მას შემდეგ ცხოვრობს აქ და საქმიანობს როგორც კომპოზიტორი და მუსიკოსი (ხარატიშვილი 2011: 230).

ლადო ყანჩელთან ერთად შემოდის ქართული თემა რომანში და იგი ნაწარმოების მეორე ნაწილშია გაშლილი. ივოს ჩანაწერები ცხადყოფს, რომ მას კავკასიის ქვეყანათა შორის ყველაზე მეტად საქართველო და მისი უახლესი ისტორია აინტერესებს. ასევე

საყურადღებოა მისთვის კავკასიის ქვეყნების ურთიერთობა რუსეთთან და ისტორიული კონფლიქტები მათ შორის. ცალკეული პიროვნებანი, თუ ისინი დიქტატორები ან სამყაროს გარდამქმნელნი არ აირიან, ივოსათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია (ხარატიშვილი 2011: 231). მართალია, წვერიანი მამაკაცი არც დიდი პოლიტიკოსია და არც დიდი ხელოვანი, მაგრამ, როგორც სტელამ ჩანაწერების მიხედვით გაარკვია, მისგან მიიღო ივომ მთავარი იმპულსები, გაერკვია, თუ რა ხდებოდა მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოში. ლადო ყანჩელთან ინტერვიუების შედეგად შეიტყო სტელამ საშინელი სამოქალაქო ომის, ლტოლვილების, დაჭრილებისა და გარდაცვლილების შესახებ 90-იანი წლების საქართველოში. რეპორტაჟებში ივო უფრო და უფრო საფუძვლიანად ახდენს არა მარტო სამი კავკასიური სახელმწიფოს (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) უახლესი ისტორიის წარმოჩენას, არამედ იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სამოქალაქო ომისა და რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შესახებ.

რომანის მეორე ნაწილში ნინო ხარატიშვილი მის მიერ ნახსა და განცდილს შთამბეჭდავად გადმოგვცემს. ის თავადაა 90-იანელი და, ამდენად, სამოქალაქო ომის თემა საქართველოში განსაკუთრებით მტკივნეულია მისთვის. თუმცა ავტორს ორიგინალური ფორმა აქვს მოძებნილი ამბის მოსათხრობად. იგი სამშობლოში მიმდინარე პროცესებს იმ ადამიანის თვალით აკვირდება, რომელიც პირველადაა უცხო ქვეყანაში. მისთვის უცნაურად მომხიბვლელია ამ ქვეყნის (საქართველოს) ცხოვრების სტილი, ადამიანთა გადაჭარბებული სიხარული და მწუხარება. თითქოს მთელი ქვეყანა უსასრულო სიყვარულშია ჩაკარგული, ფულშიც კი, რომელიც აქ არაა. მას აოცებს ყველაფერი, ქუჩაში მოძრაობის წესებიც, რომელიც არ არსებობს (ხარატიშვილი 2011: 280).

ამ არაჩვეულებრივ ქვეყანაში გაიცნო სტელამ ლადო და მისი ვაჟი ბუბა, პროფესიით მთარგმნელი და ქალაქის გიდი. იგი 1993 წელსაა დაბადებული და აფხაზეთიდანაა, ისევე როგორც მისი მშობლები. დედამისი მსახიობი იყო სოხუმის თეატრში, სადაც ის შეხვდა ლადოს, რომელიც სპექტაკლისთვის მუსიკას წერდა (ხარატიშვილი 2011: 280). ახალგაზრდებს ერთმანეთი შეუყვარდათ, დაქორწინდნენ და მალე შეეძინათ ქალიშვილ-ვაჟი. ბუბა ომის ყველაზე მძიმე პერიოდში მოევიდნა ქვეყანას. რუსები,

ქართველები, აფხაზები... ყველანი ერთმანეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. მე – მთხრობელი, ანუ სტელა, რომლის სახეშიც მკითხველი ნაწილობრივ რომანის ავტორს ამოიცნობს, ცდილობს, მეტი გაიგოს საქართველოში სამოქალაქო ომისა და აფხაზეთის შესახებ. ამიტომ იგი ეროვნულ არქივში მიდის დოკუმენტური მასალის მოსაძიებლად. ამ „მონსტრული ნაგებობის“ დატოვების შემდეგ სტელამ უკვე იცის, რა მოხდა სოხუმში ქალაქის ოკუპაციის პერიოდში: „ლადოს ცოლი სოხუმის ოკუპაციის პერიოდში დაბომბვისას დაიღუპა. ისიც ვიცოდი, რომ მისი გოგონაც იქ გარდაიცვალა, მაგრამ ვეღარ გავარკვეე ტყვეთა სიკვდილით დასჯის, თუ დაბომბვის დროს, ან საერთოდ, რა სიატუაციაში გარდაიცვალა.

მე ვიცოდი, რომ აფხაზეთში 1992 წელს განუსაზღვრელი რაოდენობით ჰყიდნენ ჰეროინს და რომ იარაღით მოვაჭრეებმა 19 მილიონი დოლარი მიიღეს. მე ვიცოდი, რომ აფხაზები და ქართველები ერთმანეთს რუსეთიდან გამოგზავნილი ბომბებით ბომბავდნენ. მე ვიცოდი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ომში სულ ბოლოს ჩაერია, ხოლო მედიები ამ ომის შესახებ დუმდნენ. მე ვიცოდი, რომ ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტს ეროვნულ უმცირესობათა წაქეზებასა და ამით გამოწვეულ გენოციდში ადანაშაულებდნენ...“ (ხარატიშვილი 2011: 283-284).

ნინო ხარატიშვილი ეროვნულ არქივში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით დეტალურად აღწერს საქართველოში არსებულ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას. ამ ფონზე იგი მოგვითხრობს შერეული ოჯახების შესახებ აფხაზეთში, ლტოლვილებსა და მოქალაქეებზე, „რომლებიც ფულისათვის ან ნარკოტიკებისათვის, ან უბრალოდ პატივისა და დიდებისათვის იბრძოდნენ“ (ხარატიშვილი 2011: 284). ხარატიშვილი წერს თუ როგორ დაიწყო თბილისში ომი, როგორ იზრდებოდა რუსეთის ზეწოლა საქართველოზე 1989 წლიდან, როცა აშკარა გახდა, რომ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლა სურდა. ავტორი ეხება ამ ეპოქის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს და ზოგჯერ უცნობ დეტალებსაც ააშკარავებს. საქართველოს უახლესი ისტორიის ეს მონაკვეთი მტკივნეულია ნებისმიერი ქართველისათვის. მისი შეხსენება იმისათვისაცაა საჭირო, რომ მომავალში იგივე შეცდომები არ გავიმეოროთ. გერმანულენოვანი მკითხველი კი, რომანის ამ ეპიზოდებით ეცნობა არა მარტო ეგზოტიკურ ქვეყანას – საქარ-



თველოს, არამედ მის უახლეს ისტორიას, რომელიც, ამავდროულად, მსოფლიო ისტორიის ნაწილია. და მან ეს უნდა იცოდეს, რადგან საქართველოს ესაჭიროება ევროპის მხარდაჭერა თავისი ეგზისტენციისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ნინო ხარატიშვილი ამ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას ორიგინალური ხერხით აწვდის მკითხველს. ნაომარი საქართველოსა და ტრავმირებული ადამიანების უცნაური სასიყვარულო ამბებს ავტორი მოგვითხრობს „ლირიკული სამკაულებისაგან“ თავისუფალი ენით. რომანში აღარაა ადგილი რომანტიკული რემინისცენციებისათვის, მეტაფორებისა და ეპითეტებისათვის. მიუხედავად ამისა, მკითხველი შესანიშნავად გრძნობს და-ძმის, ასევე, ავტორისა და მისი სამშობლოს „ნაზსიახლოვესა და სასტიკ გაუცხოებას“.

გასული საუკუნის 90-იან წლების საქართველოში მიმდინარე მძიმე პოლიტიკური ამბების, ომებისა და რევოლუციების, სოციალისტური სისტემის ნგრევისა და გარდამავალი ეპოქის, ახალი ქვეყნის მშენებლობისა და ახალი სოციალ-პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების თვითმხილველი ნინო ხატარაიშვილი ცდილობს ობიექტურად გადმოსცეს ნანახი და განცდილი. იგი, როგორც თავისი ქვეყნის საუკეთესო წარმომადგენელი გერმანულენოვან სამყაროში, მოგზაურია ამავდროულად ორ ქვეყანასა და კულტურას შორის. მწერალი უჩვენებს არა მარტო საქართველოს დიდ პოლიტიკურ სცენაზე მიმდინარე მოვლენებს, არამედ კულისებს მიღმა საფუძვლიანად დამალულსაც, მოუთხრობს ომისა და ნგრევის პერიოდის თაობათა მძიმე ცხოვრების შესახებ. მის მიერ წარმოდგენილი ქართული რეალობა და საქართველოს უახლესი ისტორია გულგრილს არ ტოვებს გერმანულენოვან მკითხველს და პასუხს სცემს იმ ბევრ შეკითხვას, რომელსაც ევროპელები ხშირად სვამენ: რისთვის იბრძოდნენ ქართველები და რა მოხდა აფხაზეთში გასული საუკუნის 90-ან წლებში? ვინ არიან აფხაზეთიდან ლტოლვილები და რატომ არის საქართველოში ამდენი ლტოლვილი საკუთარი სამშობლოდან? ვფიქრობთ, ნინო ხარატიშვილის მიერ არჩეული გზა და გადადგმული ნაბიჯი ერთ-ერთი სწორი პოლიტიკური და ინტელექტუალური ქმედებაა იმისათვის, რომ ევროპამ ნათლად დაინახოს ჩვენი სამშობლოს პრობლემები – ტრაგედია ქვეყნისა, რომლის ტერიტორიის ოცი პროცენტი ოკუპირებულია.

### **დამოწმებანი:**

**ბაზლერი 2011:** Balzer V. „Krieg und Frieden“. *Deutschlandradio Kultur* 22.09.2011. <http://cms.frankfurter-verlagsanstalt.de/fva.php?page&p=DE,23638>

**ბრიგლები 2017:** Briegleb T. „Diktaturschäden an Leib und Seele. *Nino Haratischwilis Hajrhundert-Roman „Das achte Leben“ als packende Zeitreise am Thalia-Theater Hamburg*“. *Süddeutsche Zeitung*, 12.04.2017.

**გაგნიძე 2017:** გაგნიძე ნ. *ნარკვევები მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის გერმანულენოვანი ლიტერატურიდან*. თბილისი: გამომცემლობა „სამშობლო“, 2017.

**რისდორფი 2012:** Reisdorf M. „Die Geschichte sollte geschrieben werden“. Heidelberg Literaturtage: Nino Haratischwili und Helon Habila lasen aus, Engel des Vergessens' und, Öl auf Wasser.“ *Rhein-Neckar-Zeitung*, 15.5.2012.

**ხარატიშვილი 2011:** Haratischwili N. „*Mein sanfter Zwilling*“. Frankfurt am Main: Frankfurter Verlagsanstalt 2011.

**ხარატიშვილი 2015:** ხარატიშვილი ნ. *ჩემი საყვარელი ორეული*. გერმანულიდან თარგმნა ნინო ზურდულმა. თბილისი: ინტელექტი 2015.

## **Nino Gagoshashvili**

*Georgia, Tbilisi*

*Shota Rustaveli Institute of Georgian Literature*

### **Religious-ideological Trend of the „New Reality“**

Chaos in the political, social, economic and cultural spheres of the post-soviet period has greatly influenced the existing system of values. Attempts of finding the solution and maintaining of the balance of mind was followed by the process of seeking of the causes that have provoked such conflict between the accustomed and new realities. Hence, the worldview issues emphasized in the religious-ideological literature of the last decade of 20th century mostly (ecumenism, pan-ecumenism, globalization, Masonry, various movements of infernal character etc.) serve to explanation of the events that have followed the old system destruction and showed up in the new environment.

**Key words:** communism, globalization, divine providence.